საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

წერეთელი ირაკლი

ი. წერეთელი

წერეთელი ირაკლი (1882–1959), საქართველოს და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. დაიბადა საქართველოში, ქ. ქუთაისში. 1900 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის 1902 წელს გაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ რედაქტორობდა ქართულ მენშევიკურ ჟურნალ "კვალს". რუსეთის II სახელმწიფო სათათბიროში იყო სოციალ-დემოკრატების ფრაქციის ლიდერი. სათათბიროს დათხოვნის შემდეგ (1907 წლის ივნისი) ფრაქციის სხვა წევრებთან ერთად მიუსაჯეს კატორღა. 1912 წლიდან ციმბირში დასახლების უფლება მისცეს. გადასახლებიდან გაათავისუფლა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. პეტროგრადში დაბრუნების შემდეგ (1917 წელს) წამყვანი ადგილი დაიკავა მენშევიკურ პარტიაში და პეტროგრადის აღმასკომში. 1917 წელს იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს ცენტრისტული ბირთვის მეთაური, დროებითი მთავრობის ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი (1917 წლის მაის-ივლისი), შინაგან საქმეთა მინისტრი. ოქტომბრის რევოლუციის წინ საქართველოში დაბრუნდა. იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიდერი. საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში, სადაც დაასრულა სორბონის უნივერსიტეტი,

ხოლო 1940 წლიდან - აშშ-ში. კოლუმბიისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების თხოვნით მან მუშაობა გააგრძელა 20-იან წლებში დაწყებულ ორტომიან თხზულებაზე "მოგონებები თებერვლის რევოლუციაზე", რომლის დასრულება ვერ მოასწრო (ეს შრომა 1963 წელს პარიზში რუსულ ენაზე გამოიცა). ი. წერეთელი ქართული სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი იყო საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

ანდერძის თანახმად, ი. წერეთლის გვამი ფერფლად იქნა ქცეული. 1973 წელს საფრანგეთში გადაასვენეს. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.